# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთი თვისა | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.



პირველის მარტიდამ ამ 1883 წლის დამლევამდინ

**„დროება"**

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба".


## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### რუსეთიდამ

16 მარტს

**ვარშავა** პოლშის ბანკის უფროსმა ჩინოვნიკმა, გაზ. „ეკონომისტის" რედაქტორმა რემბერტოვსკიმ წაიღო ემირიტარულ კასიდამ და კერძო პირთ ფულებიდამ ასი ათას მანეთამდის და გაიდა საზღვარ-გარეთ.

**პეტერბურღი.** საზღვარ-გარეთის გაზეთები ავრცელებენ ხმებს, რომ სომხეთის საზღვრებზე გროვდება რუსის ჯარიო და ოსმალეთსა და რუსეთს შუა მშვიდობიანობა ირღვევა, რადგან პორტას განუზრახავსო რუსეთის საქონლის ბაჟის მომატება.

ამ საგანზედ „*Journal de St.-Petersbourg*"-ი იწერება, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი ამბავი არის მართალიო. რუსეთის ფინანსთა სამინისტროში დიპლომატიური სჯაა ოსმალეთის წინადადებაზე ამ საგნის შესახებ; ეს წინადადება ოსმალეთის აგრეთვე შეეხება სხვა სახელმწიფოთაცაო.

უწმინდესის სინოდისა, სახელმწიფო რჩევისა და მინისტრთა კამიტეტის გარდა მოსკოვში გვირგვინის კურთხევაზედ გარდავა პირველი დეპარტამენტი სენატისა, გარდა საგლეხო განყოფილებას.

### საზღვარ-გარეთიდამ

16 მარტს

**ლონდონი.** შესდგა განსაკუთრებული კამისია პოლიტიკურ დანაშაულობათა გასამყდავნებლად.

**ბაბა.** კოროლის წარმომადგენელად რუსეთის იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზედ იქმნება ობერ-გოფმეისტერი შიმმელ პენნინგი.

**პალერმო.** კატოლონიის მცხოვრებნი შიშის-ზარით არიან მოცულნი ცეცხლის მფრქვევ მთის ეტნის ამოფრქვევისაგან და ხან-გრძლივ მიწისძვრისაგან.

## სასულიერო ჟურნალის საჭიროება

ტფილისი, 17 მარტს.

გუშინდელს „დროებაში" ჩვენ ვაცნობებდით მკითხველებს, რომ ორს მღვდელს განუზრახავს სასულიერო ჟურნალის გამოცემა ქართულ ენაზე, ერთს ტფილისში და მეორეს ქუთაისში.

არავისთვის საჭირო არ იქნება ითქვას, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ამ გვარი გამოცემა ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს თავით თვისით ცხადია ყველასთვის, ვისაც გაეგება რამდენად ძლიერი და მნიშვნელობიანია ცხოვრებაში კარგად და სინიდისიანად მიმართული დრო-გამოშვებითი გამოცემა. დღეს მთელს საქართველოს სასულიერო უწყებას არა აქვს ერთი უბრალო ეპარქიალური უწყება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნეს გავრცელდეს სამღვდელოებაში და საზოგადოებაში არა თუ მარტო სასულიერო მთავრობის გარდაწყვეტილება და მოქმედება, რომელიც აინტერესებს მთელს საქართველოს ეკკლესიის მსახურთ, არამედ სხვა-და-სხვა მოძღვრება, სხვა-და-სხვა სწავლა და სასარგებლო ცნობა სამღვდელოების მდგომარეობაზე, ეკკლესიებზე, სასულიერო სასწავლებლებზე, სამღვდელოების ყრილობაებზე და სხ. და სხ. ამ გვარი საჭიროება სასულიერო ჟურნალისა, გვგონი, არავისთვის კერძოდ ისე არ არის ცხადი, როგორც ჩვენი რედაქციისთვის. ჩვენ ხომ ბევრს ვბეჭდავთ საზოგადოდ სასულიერო საქმეებზე ჩვენს მხარეში, მაგრამ რომ შევადაროთ ეს დანაბეჭდი იმ დაუბეჭდავ სტატიებთან და წერილებთან, რომლებიც ყოველ დღე, განუწყვეტლივ, მოგვდის ჩვენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ, სწორედ ერთი წვეთი-ღა იქნება.

ეს საჭიროება კარგად უნდა ესმოდეს საქართველოს სასულიერო მთავრობას, რომელმაც სიამოვნებით უნდა ნება დართოს ხსენებულ მთხოვნელთ ჟურნალების გამოცემის ნება.

და არამც თუ ნება დართოს მარტო. სასულიერო მთავრობამ ცოტა მატერიალური შემწეობაც რომ აღმოუჩინოს ამ ქართულ ჟურნალებს ურიგო არა იქნებოდა-რა. სამოქალაქო მთავრობა გაზეთს „კავკაზს" აძლევს შემწეობას; სწავლა-განათლების უწყებას საკუთარი ჟურნალი აქვს, რომელიც იბეჭდება უწყების ხარჯით; სამხედრო უწყებას, საექიმო უწყებას, სოფლის მეურნეობის საზოგადოებას

---

«დროების» ფელეტონი, 18 მარტს.

## ძლევა-მოსილი სიყვარული

მოთხრობა ტურგენევისა *)

### VIII

მეორე დღეს დილიდამ მუციო წავიდა სადღაც. ვალერიამ გამოუცხადა ქმარს, რომ უნდა წასვლა მათ მეზობლად მდგარს მონასტერში, სადაც ცხოვრებდა მისი მოძღვარი—მოხუცებული და პატივცემული ბერი, რომლისადმი მას ჰქონდა უსაზღვრო ნდობა. ფაბიოს კითხვაზედ მან მიუგო, რომ სურს აღსარებითა შეიმჩალტოს გონება, რომელიც შეჭურვილია უკანასკნელის დღეების მძლერის შთაბეჭდილებითა. შეხედა რა მის დალონებულ სახეს ფაბიო დათანხმდა ცოლის განზრახვას. ქმარს სჯეროდა, რომ წარჩინებულ მამა ლორენცოს შეეძლო მიეცა სასარგებლო დარიგება მისს მჭმუნვარებით მოსულ ცოლისათვის... ვალერიამ იახლა ოთხი მხლებელი და წაემზგავრა მონასტერს... ფაბიო დარჩა სახლში. დალონებული ვიდოდა ბაღში და სცდილობდა გამოეკვლია, თუ რა მოევლინა მის ცოლს. რამდენჯერმე შევიდა კოშკში, მაგრამ მუციო ჯერ არ დაბრუნებულიყო და ამის მალაელი შორიდგან უცქერდა ფაბიოს თავ-დახრილის მორჩილებითა და, როგორც შენიშნა, რაღაცა ღრმად ჩამალულის დაცინებით.

ამ დროს მონასტერში ვალერია შესჩიოდა წმ. მამას თავის დარდებს. მოძღვარმა მოისმინა აღსარება, აკურთხა, განუტევა უნებლიეთნი შეცოდებანი მისნი და გულში-კი იფიქრა: ჯადოა ეშმაკისაო... ეს საქმე ასე არ უნდა დარჩესო.—და გაჰყვა თვით ვალერიას სახლში, რომ უფრო გული დაუმშვიდოს. ბერის დანახვამ ფაბიო ცოტა შეაძრწუნა, მაგრამ დიდი გამოცდილი ცხოვრებაში მოხუცი წინდა-წინ მოემზადა, როგორც უნდა მოქცეულიყო... დარჩა რა მარტოკა ფაბიოსთან, გაუმჟღავნელად აღსარების საიდუმლოებისა, ურჩია მხოლოდ, თუ შესაძლებელია, გაისტუმროს მალე მისი მოწვეული სტუმარი, რომელსაც თავის ამბებითა, ზნეობითა და მუსიკითა მოჰყავდა მზაკვრულ აღტაცებაში ვალერია. მე მაგონდებაო, დაუმატა მოხუცმა,—ის მუციო წინადაც არ იყო მაგარი რჯულის კაცი და შემდეგ, როცა გაიცნო უსჯულო ქვეყნები, სრულიად შეეძლო მას მართლ-რჯულიდამ განდგომა. ფაბიო სრულად დაეთანხმა პატივცემულს, თუმც ძველი მეგობრობა ვერ აბედვინებდა მუციოს სახლიდამ დათხოვნას. ვალერია მთლად გამოცოცხლდა, როცა შეიტყო მოძღვრის რჩევა. დიდის საჩუქრებით და პატივით გაისტუმრეს ბერი. ფაბიო აპირებდა იმ ღამესვე მოლაპარაკებას მუციოსთან, მაგრამ მისი ახირებული სტუმარი ვახშმად არ დაბრუნებულა. მეორე დღემდის გადასდვა საქმე... ცოლ-ქმარი წავიდენ საწოლ ოთახში...

### XI

ვალერიას მალე დაეძინა. მაგრამ ფაბიოს არა ჰსძინავდა. ამ მყუდროებაში—ღამეში ის უფრო ნათლად წარმოიდგენდა, რა მოევლინა ამ უკანასკნელ დღეებში.—ნუ თუ მუციო ნამდვილი მჯადოსნელია? ჰფიქრობდა ფაბიო. ვაი თუ მოსწამლა ვალერია?.. ცოლი ავად არის, მაგრამ რა სნეულებით? სანამ ფაბიო ამ მძიმე ფიქრთ გაიტაცეს, მთვარე კიდეც გამოჩნდა მოწმენდილ ცაზე და ფანჯრის მინებში, მის გამომჭვირვალ შუქებთან ერთად, მოეჩვენა თითქო ფაბიოს, შემოქროლდა რაღაც სუნ-მფშვევი, ჩურჩულის მსგავსი ნიავი, რომლის ძალითა ვალერიას გამოეღვიძა, წამოდგა ლოგინზედ, ჩამოეშვა საწოლიდან და ფერ-მკრთალი სახითა, გაშვერილ მკლავებითა მიეშურა კარებისაკენ.

ფაბიო იმავ წამს გავარდა ბაღში მეორე კარებით, მოურბინა სახლს და გარედამ ჩაჰკეტა ბაღის კარი, საიდამაც ვალერია უნდა შემოსულიყო. იმავ ჟამს მოესმა ხმაურობა... ეს მისი ცოლი ცდილობდა შიგნიდგან გაღებას იმ კარისას და რა კი ველარ გაალო, ვალერიამ იწყო თრთოლა და კვნესა... მუციო არ დაბრუნებულა ჯერ ქალაქიდამ,—გაიფიქრა ფაბიომ და წავიდა კოშკისკენ... მაგრამ, რა დაინახა მან! მას შეხვდა იქიდან მომავალი მუციო... ამას წინ გაეშვირა ხელები, გაელო თვალები, თითქო ცხედარს, ფაბიო მივიდა მასთან მაგრამ მუციომ არც შემოხედა, არც ხმა გასცა და არც გაჩერდა... მუციოს პირი უციმოდა, როგორც იმ მალაელს. ფაბიოს უნდოდა შეეჩერებინა ის, ეკითხა.... მაგრამ იმავ წამს მოესმა, რომ მის სადგომში გაალეს ფანჯარა, და დაინახა ვალერია, რომელიც აპირებდა ფანჯრიდან ჩამოხტომას.... თითქო მისი ხელები ეძებდენ მუციოს... გაგიჟებულმა ფაბიომ, რა ეს დაინახა, შემოსძახა: „ო, შე წყეულო მზაკვარო!" და ერთი ხელით წასტაცა მუციოს ყელში მეორით ამოართვა ხანჯალი და ტარამდის დასცა გვერდში. ერთი დაიკივლა მუციომ, ხელი მიიკრა ჭრილობაზედ დაბანდალდა კიდეც, მაგრამ მერმე საჩქაროდ გაეშურა კოშკისკენ. როცა მუციოს დასცეს ხანჯალი, იმავ ჟამს ვალერიამაც დაიკივლა და დაეცა დედა-მიწაზე, თით-

*) იხ. „დროება", № 57.

დაშოშმანდებიანო. ბოლოს, გეგონა, შეტაკებაც გათავდაო. ერთი მოჩხუბართაგანი (სეიდ-აბასი) გაიქცა ქალაქში. ამ დროს ნემცების კალონიიდამ მოვარდა უფროსი ძმა ქაზიევი, იშოვა ორი ამხანაგი და გამოედევნენ უკან სეიდს. ჩვენც ქალაქში გამოვეშურეთ. ქუჩაში მოსიარულეთ სახე გაფითრებიათ და გარბიან ბაზრისაკენ. ვიკითხე—გამოდგა, რომ ქაზიევები და მათი ამქრები დაიარაღებულან „პიბოდებით“ და სეიდ-აბასსის სახლს მისდგომიან. მეც მივახწიე და უეცრად იგრიალეს თოფებმაც. ამ დროს კარებიდამ გამოყოფს თავს ერთი მოხუცებული თათარი (მამა სეიდ-აბასსისა) და ჰკითხულობს, რა გნებავთო. თქვენი შვილები გამობძანდენო მისძახეს მამას,—შენ არ გვინდიხარო. ამ ხანში პოლიციამაც მოასწრო ყაზახ-რუსებით. გავარდა თოფები, მაგრამ ღმერთმა იპრიანა და არავინ დაჭრილა. დიდის გაჭირვებით დაიჭირეს სამი-ოთხი საათის შემდეგ და სატუსაღოში ამოარგვევინეს თავი ორ ძმას ქაზიევებს და მათ ნათესავს ბაჯალიბეკოვს. როგორც მერე მიამბეს, ეს ორი გვარი ყოფილან ჩაჯიბრებული—სისხლი მართებიათ ერთმანეთისა. ეს ის ქაზიევია (უფროსი ძმა), რომელმაც შარშან საროსკიპოში სომეხი მოჰკლა. ხედავთ რა არხეინად დადის და რა საქმეებს ჩადის. ქაზიევი დაიჭირეს მაშინ იმ მკვლელობისთვის, მაგრამ მალე თავდებ-ქვეშ გამოუშვეს. ეხლაც ხმებია, რომ სამივეს ისევ გაანთავისუფლებენო. თუ ეს მართალი გამოდგა, მეტი ჯანი არაა, განჯა უნდა მივატოვოთ. ეს თავდებ-ქვეშ გამოშვებული კაცებია, რომ იკლებენ მთელს განჯას და უწყალოდ ჰკლავენ კაცებს.

2 მარტს თათრებმაც გამართეს დოლი თვით ქალაქში, მოედანზედ, აყალმაყალის ასაცდენად თათრები სომხებს არ ირევენ ხოლმე. დუდუკი დაჰკრავს და იმართება დოლი. საუბედუროდ პოლიცია ვერ მიმხვდარა, რომ რიგით იყოს ცხენების ჭენება, არა თუ ორივე მხრით ერთს და იმავე დროს. ამ წინდაუხედველობამ საუკუნოდ განასვენა ორი თათარი.

ჩვენმა მთავრობამ მიხვდა როგორც იყო და „გოროდოვებად“ რუსები დააყენეს. როგორც მოგეხსენებათ, რუსების ძალიან ეშინიანთ თათრებს. ამ განკარგულების შემწეობით ეს ერთი-ორი თვეა, არა მომხდარა რა იმისთანა რამე შესანიშნავი ავაზაკობა. იარაღის ჩამორთმევაც დაიწყეს. ოურ ხიდის პატარა „ბუტკაში“ 80-ამდე ეწყო, სხვა-და-სხვა იარაღი ვინც გაივლიდა ყველას უსინჯავდენ, როგორც ფეხით მიმავალს, აგრეთვე ფაეტონით, თუ ცხენით. თათრებს მეტად არ ეჭაშნიკათ ეს განკარგულება, მაგრამ ალარაფერი გაუდისთ.

გასულ დეკემბერში მოჰკლეს აქ სამი კაცი: ორი თათარი და ერთი სომეხი: პირველი შუადღეზე, პოლიციის წინ, მეორე სატუსაღოს ეზოში (გაპარვა მოინდომა), მესამე გუბერნატორის სახლის წინ.

ამ წერილის დაწერა ადრე მომიხდა, მხოლოდ მესამე დღეს უნდა წამოსულიყო, რადგან ფოსტა მუდამ-დღე არ დადის აქედამ. ამ ხანში იმ დატუსაღებულების შესახებ ჩემი წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა: უმცროსი ძმა ქაზიევისა თავდებ-ქვეშ განათავისუფლეს, უმფროსი და ბაჯალიბეკოვი მეორე დღეს უნდა გამოეშვათ, მაგრამ ბ. გუბერნატორის ბრძანებით ისევ დაატუსაღეს და ამათთან ორი ძმა სეიდები და მათი ნათესავიც. მათი პირ-და-პირ დატუსაღება ძნელი იყო. მოიხმეს პოლიციაში პროტოკოლის შესადგენად მათს საქმეზე. ისინიც მოვიდენ და აქვე აუსვეს ხელი.

წარმოდგენებიც ვიხილეთ. სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს აქ რუსული კომედიები; ზოგიერთ წარმოდგენის შემოსავალი ქველ-მოქმედების მიზნით იყო; უკანასკნელი წარმოდგენა, ამ დიდ-მარხვაში მოხდა; აფიშები უკვე გაკრული იყო (მთავრობის ნებართვით), როდესაც ერთ ბოროტ სულს ეცნობა მთავრობისათვის რომ აფიშაში ვითომ ისეთი ლექსების სახელები სწერიაო, რომელნიც სხვანაირ აზრის არიანო, დაუბეჭდავი და ალკრძალულიაო. ნუ თუ გეგონათ, რომ ენატანიები მარტო თქვენა გყავთ და განჯას არა?.. ყველგან მრავალ არს რიცხვი მათი.

იმერელი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა;

---

მალაელი ჯერ არ გამოსულიყო. ფაბიოს მოუნდა, შეეტყო, რა ამბავი არის კოშკში და მივიდა იმ უკანა დამალულ კარებთან; საიდგან შეძლებოდა გაუგებლად შესვლა იმ ოთახში, რომელშიც ამ დილას იწვა მუციო. მივიდა და, რა დააზიდა გალებულ კარების მძიმე ფარდაგი, აი, რა დაინახა:

### XII

მუციო ალარ იწვა ხალიჩაზე, სამგზავრო საცმელით მოსილის გადაწოლილიყო სავარძელზე, მაგრამ გვანდა მკვდარს; მისი თითქოს, გაქვავებული თავი, დავარდნილიყო სავარძლის ზურგზედ. მკერდი არ კსენოდა, სავარძლის ახლო-მახლო ძირს, გამხმარი მდელოებით მოყრილს შუა, იდგნენ რამდენიმე პრტყელი ფინჯნები, გავსებულნი რალაც ქუფრის სითხითა, რომელსაც გასდიოდა ძლიერი, სულის შემგუბებელი სუნი გარშემო თითო ფინჯნისა იგრიხებოდენ პატარა სპილენძის ფერი გველები, რომლების პაწაწუტა თვალები ბზინვიდენ მსგავსად ოქროისა და მუციოს პირ-და-პირ იდგა მისი მალაელი, რომელსაც ეხურა ტანზედ ფარჩის ჭრელი ჩადრი და წელზედ შამორტყმული ქონდა ტიგროსის კუდი; თავზედა ეხურა ქუდი წვეტიანი მსგავსი მარლო ქისისა; ის არ იდგა გაუნძრევლად; ხან, თითქოს თავს დაუკრავდა და რალაც ლოცვებს ამბობდა, ხან, გაიზიდებოდა მთელის ტანითა და ცერზედაც დგებოდა, ხანც, ერთ რიგიანად და ფართედ შლიდა ხელებს, მიუშვერდა, განუსაზღვრებელ რალაც სურვილითა, მუციოს და სჩანდა, მუქრობდა ანუ რამეს ბრძანებდა, ჰმუხვნიდა წარბებს და სცემდა ფეხებს მიწასა... ყოველი ამ ნაირი მოძრაობა ეტყობოდა, უღირდა დიდ სასჯელად და სტანჯავდა: სულს ითქვამდა მძიმედ და ოფლი ასკდებოდა ცხვირპირზედ. ერთხანს უეცრად შეჩერდა მოითქვა სული, მძლავრად შეიგუბა ჰაერი, შეჭმუხვნა შუბლი და გაჭიმულ ძარღვებით მიიზიდა მისი გაშვერილი ხელები თავისკენ. გაოცებით ხედვიდა ფაბიო, რომ მუციოს თავი ნელ-ნელა აიწია, განშორდა სავარძლის ზურგსა და გაჰყვა მალაელის ხელებს... მალაელმა დაუშვა ხელები და მუციოს თავიც მძიმედ ისევ დაესვენა სავარძელზედ; მალაელმა განამეორა მისი მოძრაობა ხელებისა და მორჩილი თავი ხელ-მეორედ გაჰყვა იმ მოძრაობას. ქუფრი სითხე ადუღდა ფინჯნებში, თვით ფინჯნები გაწკარუნდენ და ირგვლივ თითოეულისა პატარა გველები დაშრიალდენ. მაშინ მალაელმა წინ წადგა ერთი ბიჯი, აზიდულ წარბებ ქვეში საშინლად დაალო თვალები... წამწმები მკვდრისა ათრთოლდენ ნერვულად, ალიწებნენ და მათ ქვეშ გამობრიზდენ მკრთალი ტყვიის ფერი გუგები თვალისა. ამაყის და მხიარულის გამარჯვებითა განათლდა გამწარებული სახე მალაელისი; ფართედ გაალო მან პირი და სადღაც ყელის სიღრმეში, დაძალებით, ამოსკდა გვიანი ყვირილი... მუციოს ტუჩებიც აიხსნა, და პასუხად ამ უკაცურის ხმისა—ზედ ამგერდა სუსტი კვნესა. აქ ფაბიომ მეტი ველარ მოითმინა, მას ეგონა, რომ მოწმად იყო რალაც სატანური წარმოდგენისა, და გავარდა გარეთ სახლისკენ ლოცვითა და პირჯვრის წერითა.

### XIII

სამ საათს შემდეგ მოვიდა მასთან ანტონი და მოახსენა, რომ ყოლიფერი მზად არისო და ბ. მუციო აპირობსო წასვლას. ფაბიომ ხმა არ გასცა თავის მოურავს ისე გამოვიდა ჩალდაყზე, საიდგანაც სჩანდა კოშკი. ქარების წინ რამდენიმე შეკაზმული ცხენი და ქუდ-მოხდილი მსახურნი იდგნენ. ერთი უკეთესი ბედაური იყო შეკაზმული სუფთა და სრული უნაგირით, რომელზედაც შეეძლო ორ კაცს შეჯდომა. კოშკის კარები გაალეს და მალაელმა გამოიყვანა მუციო!? მუციო იყო მკვდარი: სახე, ხელები, ტანი—ყოლიფერი მკვდრის, მაგრამ ეს მკვდარი დაიარებოდა... დიაღ! დაიარებოდა, და როდესაც შესხეს ცხენზე თავის მკვდრის ხელით დაიჭირა ლაგამის სადავე და იჯდა მაგრად და სწორად. მალაელმა ჩაუდვა ფეხები აბჯანდებში, შემდეგ შამოუჯდა უკან ცხენზედ და ნელა გაემგზავრენ. ჩალდაყის წინ რომ გამოიარეს მიწის ფერ მუციოს სახეზედ ფაბიოს მოელანდა ორი რგვალი წინწკლი.... ნუ თუ მე შემომხედა?—იფიქრა ფაბიომ; მალაელმა მარტო დაუკრა თავი, დაცინვით, როგორც ყოველთვის. ხედავდა ვალერია მუციოს გამგზავრობას თუ არა? ფანჯრების ფარდები მის ოთახში ჩამოშვებული იყო, მაგრამ შეიძლება, ვალერია იქიდან უჭვრეტდა.

### XIV

იმ დღეს ვალერია იყო წყნარი და ალერსიანი, მხოლოდ სჩიოდა, რომ დალალული და დასუსტებული ვარო. მაგრამ მის სახეზედ ალარ სჩნდა ის კრძალვა და ის ალშფოთება, რომლითაც სავსე იყო ამ უკანასკნელ დღეებში; და როდესაც მეორე დღეს, მუციოს წასვლის შემდეგ ფაბიომ დაიწყო ხატვა ცოლის სურათისა, კლავ შენიშნა ვალერიას სახეზედ ის წმინდა გრძნობა და ციური აზრი, რომელის, დროებით დაბნელებამ ასე შეაწუხა ცოლ-ქმარი.—ფაბიო და ვალერია ცხოვრობდენ უწინდელი მშვიდობიანი ცხოვრებით. მუციო მათთვის დაიკარგა, თითქოს არასოდეს არ ყოფილა ამ სოფელში, მისი სახელიც არ უხსენია არც ცოლს არც ქმარს და არც ცდილობდენ; რა დაემართა მუციოს. ამ უკანასკნელის ამბავი ცოლქმარს კი არა არავის არ შეუტყვია, თითქოს ჩაძვრა ქვესკნელში.

ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს ფაბიომ გაათავა სურათი მისი ცოლისა; ვალერია შეექცეოდა მუსიკას... უეცრად მას მოესმა ის ხმა, თვით მისი თითები უკრავდენ ამ სიმღერას ძლევამოსილის სიყვარულისას, რომელსაც ოდესმე უკრავდა პიანურზედ მუციო და იმავე წუთში, პირველად მისი დაქორწინების შემდეგ, იგრძნო თავის არსებაში თრთოლა ახლად დასახულის სიცოცხლისა... ვალერია შეკრთა და გაჩერდა... რას ნიშნავდა ეს? ნუ თუ...

ამ სიტყვებზე თავდებოდა ძველი ხელ-ნაწერ.

ჩომა.

(დასასრული)

ყველას საკუთარი გამოცემაები აქვს, თვით ქალაქის მმართებლობასაც აქვს განზრახული „სამოქალაქო უწყება“. სასულიერო უწყებას კი, რომელსაც თითქმის მთელი კავკასია აბარია ერთი უბრალო „ფურცელიც“ არა აქვს, რომ თავისი განკარგულება მაინც ბეჭდოს ხან-დი-ხან. თუ მთავრობას თითონ ეძნელება ამ საქმის თაოსნობა, ყოველ გვარი შემწეობა მაინც უნდა აღმოუჩინოს იმ პატივ-ცემულ პირთ, რომელთაც უკისრნიათ ჟურნალების გამოცემა ორს საქართველოს ეპარქიებში.

## დღიური

რუსის გაზეთებს დეპეშით აცნობებენ ბათუმიდამ, რომ გასულის წლის ნოემბრიდამ მდგომარე წლის მარტის პირველ რიცხვამდე ფოთიდამ გადაუტანიათ ბათუმს 20,800 ფუთი კეროსინი (დაწმენდილი ნავთი). აქედამ თვით ბათუმში გასაღდაო 4,800 ფ., დანარჩენი 10,000 რუსეთში წაუღიათ და 6,000 ფ. სამზღვარ-გარეთ. ნავთის გადმოსატანად 5 ვაგონია დანიშნული.

***

რუსეთის გაზეთებშივე იწერებიან ბაქოდამ, რომ ბალახანაში და საბუნჩაში, სადაც არის ნავთის წყაროები, კიდევ გამოჩნდა ახალი წყაროებიაო. ეხლა სულ ოცამდის იქმნება წყარო და აუარებელი ნავთი მზადდებაო.—ფუთი ნავთი (დაუწმენდელი) 2 კაპ. ნაკლებ გადისო.

***

ჩვენ მივიღეთ არხიმანდრიტის მაკარისგან შემდეგი წერილი:

„თქვენის გაზეთის საშუალებით საყოველთაოდ იყოს ცნობილი, რომ კურთხევითა მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის პავლე არხიეპისკოპოსისა, ტფილისის რომელთამე ეკკლესიათა შინა ამა მდგომარის დიდმარხვის კვირიაკეთა დღეთა სალამობით გაიმართებოდა კითხვა შესახებ საგანთა სარწმუნოებისათა. საფუძველსა ზედა ესრეთისა განკარგულებისა, პირველსა კვირიაკესა, რომელ არს მართლ-მადიდებლობისა, მე ავხსენ დღის სახარება და შემდგომ წარმოვსთქვი სწავლა, რომლისა აზრი გამოისახებოდა იმაში თუ მართლ-მადიდებლობისა, მე ავხსენ დღის სახარება და შემდგომ წარმოვსთქვი სწავლა, რომლის აზრი გამოისახებოდა იმაში, თუ მართლ-მადიდებელმა ეკკლესიამ, რომლის სულიერის სარგებლობის მიზნისათვის დააწესა დღესასწაულობა ესე; თუ როგორი მოვალეობა სძევს ყოველთა ქრისტიანეთა თაყვანისცემად მათდა (ხატთა), თუ ხატნი როგორის აზრით და მიმართულებით უნდა აქვნდესთ ყოველთა მართლ-მორწმუნეთა მიღებული და დასასრულ როგორ განსხვავდების წმინდათა ხატთა თაყვანისცემა კერპთა და სხვათა საკერპო გამოსახულებათაგან. ამითი დაესრულა ჩვენგან წარმოთქმული სწავლა; ხოლო შემდგომ ბ. ელიევმა განაგრძელა ისტორიულის მიმართულებით ხატთა ბრძოლა უსჯულოთაგან მისი შედეგები და დასასრული. მსმენელნი იყვნენ საკმაოდ, ასე რომ ფერისცვალების ეკკლესიის სიმცირის გამო დატევნა მსმენელებისა შეუძლებელი იქმნებოდა, რომლის მიზეზის გამო, ექსარხოსის ნება-რთვით, ამ ნაირი სწავლება პატიოსანთა სასულიერო პირთა, გარდატანილ არს წმიდის მარინის ეკკლესიაში, სადაც მეორე კვირას ამა დიდ-მარხვისა ხალხი იყო მრავალი ასე, რომ ეკკლესია იყო სავსე. ამ კვირას წარმოსთქვა სიტყვა არხიმანდრიტმა გრიგორიმ მას ზედა, თუ რა დიდი ცოდვა არის კაცთაგან შურის ძიება. მომავალის ესე იგი, მესამის კვირისათვის ამ დიდმარხვისა, სხვათა შორის, წარმოთქმულ იქმნება, შემთხვევისა გამო დაგვირგვინებისა იმპერატორისა, წესი მეფეთ კურთხევისა და მოგონება საღმრთო გვირგვინოსნებისა განსვენებულის ხელმწიფის იმპერატორის ალექსანდრე მეორისა, თარგმნილი რუსულით ჩემ მიერ. სრულიად მარწმუნებს იმედი, რომ საგანი ესე, როგორათაც შინაარსით, ისე გარეგანად ძრიელ საინტერესო და საგრძნობელი იქმნება მსმენელთათვის, რადგანაც იმით სცნობენ თუ როგორის საიდუმლობით აღსრულდება მეფეთ—ჩვენთა იმპერატორთა დაგვირგვინება და საიდგან წარმოსდგების იგი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

განჯა, 10 მარტს. დიდი ხანია „დროებაში“ არა ყოფილა-რა განჯაზე. მაშ მოისმინეთ ცოტა რამ:

ყოველ წელს აქაურ სომხებს ჩვეულებად აქვთ დოლის გამართვა სამ ვერსზე მოშორებით ქალაქისგან. დანიშნულ დღეს (27 თებერვალს) ახლომახლო სოფლის და ქალაქელების მცხოვრებლები შეიკრიბებიან ამ დიდ ტრიალს მინდორზე. აი, ხუთი საათია ნაშუადღევის, ხალხი მიიწ-მოიწია და შეიქმნა ვითომ დოლი. ცხენებით გამოუდგებიან ერთი მეორეს და ვინც მისწვდება ნება აქვს ჯოხი სცემოს, რომლითაც დაიარაღებულია დიდი და პატარა. რისი ნაშთია მითიქრია, და ვერ წარმომიდგენია: იქნება იმერეთში რომ ჯირითი იციან მისი ნაკუდალაა... როგორც ეტყობა, მამა-პაპათ სცოდნიათ რაღაცა, მაგრამ მათ თავში მიკროსკოპიული ხსოვნებაც არ დარჩენილა. ცხენის ხმარებაც ამათ რომ იციან, ისეთი უნდა... უოჩალს ეძახიან მას, რომელიც ჯერ არ გადმონარცხულა ცხენიდამ—და ესეთს ძვირად შეხვდებით. ყოველ წელს ეს დოლი მსხვერპლობს თითო ოროლ კაცს, წელს, რაღაცა მანქანებით, სიკვდილით არავინ მომკვდარა, მაგრამ არც ხელი დაჰკლებია. ექვსი საათი იყო, ხანჯლებმა იბრიალეს. ხალხმა დოლი მიატოვა. დავინახეთ, რომ ორ ბეგს პაზიევს და სეიდ-აბასს შეექმნათ ერთი ალიაქოთი. პოლიცია დასცუნცულებს „მაჩანჩალებით“ და უძახის სახელს მოჩხუბარს იმ ფიქრით, რომ

---

ქოს მას მოხდაო ხანჯალი. ქმარი მივარდა ცოლს, აიყვანა, შეიტანა საწოლ ოთახში და დასდო ლოგინზე. ვალერია დიდ-ხანს იწვა გაუნძრევლად... მხოლოდ ერთს საათს შემდეგ აახილა თვალები, ღრმად ამოიხვნეშა და მხიარულად, როგორც ადამიანი, რომელიც ეხლა გადურჩა სიკვდილს, დაინახა ქმარი, მოეხვია და ჩამოეკიდა გულზე: „შენ, შენ ხარ ეს!“ ბოდავდა ვალერია. შემდეგ ნელ-ნელად მოაცალა ქმარს ხელები, გადიგდო უკან თავი და ტკბილი ღიმილით წაიბუტბუტა: „მადლობა ღმერთს, გათავდა ყოველიფერი... მაგრამ... ოხ... მე როგორ დავიღალე!“

ვალერიას მალე დაეძინა და ეხლა მისი ძილი უფრო მშვიდობიანი იყო.

## X

ფაბიო დაეშვა ცოლის ლოგინის წინ და თვალს არ აცილებდა მის დაწყნარებულს, მაგრამ ჯერ კიდევ უფერულს და გამხდარ სახეს. ფიქრობდა იმაზედ, რაც მოხდა, ამასთანავე მაზედ, რა უნდა ქმნას მან? რა გზას დაადგეს? თუ კი მუციო მოკლა მან! და რომ მოჰკლა—რა ეჭვია—ხანჯალი ტარამდის დასცა. თუ კი მუციო მოჰკლა, დაფარვა ხომ არ შეიძლებოდა! მაშასადამე უნდა მიღწეულ იყო ეს ამბავი მთავრისა და მსაჯულთ ყურამდი... მაგრამ რა რიგ განემარტა, რა რიგ ეამბო ასეთი გაუგებარი ამბავი?—მან, ფაბიომ თავის სახლში მოკლა თავისი ნათესავი და უმჯობესი მეგობარი! დაუწყებდენ გამოკითხვას: რისთვის, რა მიზეზით? . მაგრამ თუ მუციო მკვდარი არ არის?!. ფაბიოს არ შეეძლო მეტ ხანს ესეთ მდგომარეობაში დარჩენა—და, დარწმუნდა თუ არა, რომ ვალერიას სძინავს, წამოდგა ნელა, გავიდა გარეთ და მიემართა კოშკისკენ. იქ სრული დუმილი იყო, მხოლოდ ერთს ფანჯარაში მოსჩანდა სინათლე. ზეზედ სილაზედ ჩნდა შავი წვეთები სისხლისა; ბოლოს მიადგა დასისხლიანებულ თითებით გასვრილს, შესავალს კარს. ძრძალეით გამოაღო კარი, გაიარა პირველ ბნელ ოთახში და მეორე ოთახის კარებთ შუა გაჩერდა გაოცებული შემდეგის სანახავითა:—შუა ოთახში სპარსულ ოთხოზედ, ფარჩის ბალიშით თავ-ქვეშა, დიდის წითელის შავ-ზოლებიანის შალით დაფარული, ესვენა ცხედარი მუციოსი. მის ყვითელ სახეს როგორც თაფლის სანთელი, და დახუჭულ თვალებში არ ეტყობოდა სიცოცხლის სუნთქვა. მის ფეხებთან წითელ შალივე მობურული, დაჩოქილიყო მისი მალაელი, რომელსაც მარცხენა ხელში ეჭირა შტო რაღაც გაუგებარის მცენარისა, გვიმრის მსგავსისა და თვალ-აუცდენლად ჩასცქეროდა თავის ბატონს. მომცრო კერეონი, ჩასმული ფიცარში, ანათებდა მარტოკა მთელს ოთახს მომწვანო სინათლითა, რომლის ალი არც ექანებოდა, არც ბოლვიდა. მალაელი სრულიად არ განძრეულა, როცა ფაბიო შევიდა, მხოლოდ ერთი თვალი გადაკრა და ისევ დაუკვირდა მწოლარს. დრო-გამოშვებით, ასწევდა ხოლმე შტოს, გააქანებდა ჰაერში და ისევ დაუშვებდა; მუნჯი ტუჩები მისი ხანგრძლივად გაიღებოდენ, თითქოს წარმოსთქვამდენ უხმო სიტყვებსა. მუციოს და მის მალაელის შუა ეგდო ის ხანჯალი, რომელიც ფაბიომ დასცა მის მეგობარს. მალაელმა შტო წაუსო ამ ხანჯალს და კვლავაც გააქანა... გამოხდა ერთი წამი, მეორეც.—ფაბიო წაიწია წინ და წყნარად ანიშნა მალაელს: მოკვდა? მალაელმა, პასუხის მაგიერად ბრძანებით ანიშნა კარი. ფაბიოს უნდოდა განემეორა კითხვა, მაგრამ მალაელმაც განუმეორა ბრძანება და ფაბიო უნებლიედ, გაჯავრებით დაემორჩილა ბრძანებას და გავიდა ოთახიდამ. ვალერიას ისევ ეძინა და კიდევ უფრო დამშვიდებული სახითაც. იმ ღამეს ფაბიოს ტანთ არ გაუხდია, ფანჯარასთან დაეშვა სავარძელზედ და ისევ ფიქრებმა წარიტაცეს. დილის მზე დაადგა მას ამ მდგომარეობაში ვალერიას ჯერ კიდევ არ გაეღვიძა.

## XI

ფაბიო უცდიდა ცოლის გაღვიძებას და შემდეგ აპირებდა ფერრარში წასვლას. ამ დროს ვიღამაც საწოლოთახის კარებზე დააკაკუნა.

ფაბიო გამოვიდა და დაინახა თავის მოხუცებული მოურავი.—ბატონო, მოახსენა მოურავმა,—მალაელმა გამოგვიცხადა, რომ ბ. მუციო ავად გახდაო და ისურვაო ქალაქში გადასვლა თავის ბარგიანად, ამიტომ გთხოვთ რომ დღეს ცხენები ათხოვოთ. მიბრძანებთ განკარგულებას ბატონო?—მალაელმა გითხრა ეს შენ? ჰკითხა ფაბიომ, რა ნაირად? განა მუნჯი არ არის? აი, ბატონო, ქაღალდზე დაწერა ეს ყველაფერი წმინდა იტალიური ენითა. ფაბიო ცოტა ხანს დაფიქრდა.

—კარგი, აღასრულე ყოველიფერი რაც გთხოვა მალაელმა, წარმოსთქვა ბოლოს, ფაბიომ.

დიდს-ხანს იყო ფაბიო ჩაფიქრებული.—მაშ მე არ მომიკლავს წუხელ მუციო, ჰფიქრობდა ის და არ იცოდა, გოუხარდა თუ ეწყინა ეს ამბავი.—ავად გახდაო? მაგრამ მკვდარს არ ვხედავდი მე წუხელ კოშკში? შემდეგ დაბრუნდა ვალერიასთან, რომელმაც გაიღვიძა ამ დროს.—ის ხომ დაიკარგა?—ფაბიო შეკრთა:—როგორ.... განა შენ?....—ის არ წავიდა?—კიდევ ჰკითხა ცოლმა. ფაბიოს ცოტა გული დოუმშვიდდა.—არა, ჯერ არ წასულა, მაგრამ დღეს მიდის, უპასუხა ცოლს.—და მე მას ამის შემდეგ ჩემ დღეში აღარ ვნახავ, არა?—და ის სიზმრები არ ვამიმეორდებიან? არა. ვალერია სულ გამხიარულდა და მშვიდობიანად გაიცინა.-ჩვენ არაოდეს, არ გაგვახსენდება ის კაცი, გესმის ჩემო საყვარელო? სანამდი ის არ წავა მე ოთახიდგან არ გამოვალ და შენ ჩემო საყვარელო ქმარო ეხლა წადი და მომიხმე ჩემი მოახლე ქალები..... მოიცადე, მომიცადე: აი წაიღე ეს, ვალერიამ აჩვენა მუციოს ნაჩუქარი მარგალიტის მანიაკი, რომელიც იდვა კუთხეში პატარა სუფრაზე,—და ეს ჩააგდე ჩვენი ბაღის ჯურღმულში.—ფაბიომ აიღო მანიაკი და ეჩვენა, რომ ვითომ მარგალიტს ელვარება წასვლია. როდესაც აღასრულა ცოლის სურვილი, გავიდა ბაღში და დაიწყო უმიზნოდ სიარული. ხანდისხან ვადახედავიდა კოშკს, საიდგან ბიჭებს გამოჰქონდათ სკივრები და სხვა ბარგი მუციოსი, ჰკაზმავდენ ცხენებს, მაგრამ

ბაწუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მმართველობა უმორჩილესად სთხოვს „საზოგადოების“ წევრთა, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამდვილთ შემოიტანონ თავიანთ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1882 წლისა—პირველთ ორ-ორი თუმანი, ხოლო მეორეთ—ექვს-ექვსი მანათი. საწევრო ფულის შემოტანაზე ბარათების (კვიტანციების) მიღება შეიძლება ან საზოგადოების ხაზინადარისაგან ბ. გიორგი დავითის-ძის ქართველიშვილისაგან (მიხეილოვის ქუჩა საკუთარი სახლი), ან საქმის-მწარმოებლისაგან—საზოგადოების სამწერლოში. (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, ფარესაშვილის სახლები, № 9).

---

რადგან მივდივართ,

ისყიდება 5 ნაწილი ადგილისა წყლის ნაპირას ახალი ხიდის მახლობ; პირობის შეტყობა შეიძლება ინგლისის მაღაზიაში.

ამავე მიზეზით ისყიდებს ნახევარ ფასად: ტანთ-საცმელი, ტრიკო, შალის ჩულქები და სხ. და სხვ.

იქვე აუარებელი რკინის კალმები, რკინის ტასტები, ჩაი 1 მოსავლისა, კაცისა და ქალის უნაგირები, საპონი და სხვ. და სხვა—25% ნაკლებ სანამ სხვაგან. გლიცერინის საპონი 40 კ. გირვანქა!

**ინდოეთის ბრინჯი 5 კ.**

(10—1)

---

სომხეთ ნერსესის პოპეჩიტლების სოვეტში ამ მარტის 23-სა საღამოზედ 8 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორშკოდ) იჯარით მისაცემათ თელეთის. წმინდის გიორგის ეზოში, ერთის დუქნისა თავისის ერთის ოთახითა მსურველს აღებისა იმ დუქნისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (**кондиція**) იმავ სემენარიას კანცელარიაში ყოველ დღე კვირისა და ჭუქმის დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ. (3—2)

---

გალავინის პროსპექტედ, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, გამლევ მებილით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

10—3)

---

Დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

**კ. ბ—შვილისაგან**

გამოცემა

**ზაქ. ჭიჭინაძისაგან**

**ფასი ერთი აბაზი.**

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

მეჰადრეთ ნვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ.40!

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

Იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

Ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—49)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

**საავადმყოფო**

**ექიმის პავლოვსკისა**

ჰუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვარანცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. **ლუნკევიჩი** თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. გ. **სამოილოვიჩისა** ქალის და ყმაწვილის ავდა-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ.; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. იბბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. **პავლოვსკი** ელექტრო-ტერეპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ემლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. **საავად-მყოფოში არის კეფირი.**

**დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი.**

(20—6)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

**საყმაწვილო ბაღი**

**№ 1**

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

---

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

**საქართველოს სამოთხე**

გამოცემული მიხეილ საბინიმის-მიერ.

ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

---

ახალი ქართული

# ქარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

**ჟერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

**იგავ-არაკნი**, გალექსილნი თ. რ. Ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

**წითელი ფარანი**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. Ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

**ხატაური**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. Ანასტასია Თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

Ე. წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. Ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: Იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., **წითელი** ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—9)

---

ახალი წიგნი

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

საქართველოს

# ისტორია

შედგენილი რომან Ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

Ფასი 15 კაპ.

---

Დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ Ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

Ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

# „ციკო“

მოთხრობა

**ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)**

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

Ისყიდება Ტფილისში „Დროების“ რადაქციაში და შავერდოვის პავილიონში Ალექსანდროვის ბაღთან. **წიგნის** მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „Დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—19)

---

**ინგლისური რკინის კრავოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. Ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა.

(100—40)

---

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

**№ 1**

**ჩახრუხაძე**

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

---

**ტაქსია**

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში,** დუქნებში **და** დახლებზედ 1 **მარტიდამ** 1 **აპრილამდის.**

ზამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის | „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |

Იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის.ლავაში | | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 17 კ. |
| Ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 11 კ. |

Ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | — |
| მეორის | „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Марта 1883 г.* *Типографія Мѣликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.